

თრაქტატი ადამიანური შეხვედების
პრინციპების შესახებ

A Treatise Concerning the Principles
of Human Knowledge

ჯორჯ ბერკლი

George Berkeley

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2021

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-2965-9

სარჩევი

თომას ჯ. მაკქორმაქის წინასიტყვაობა 4

ღრაქთატი ადამიანური შეხეხნების პრინციპების შესახებ

ჯორჯ ბერქლი

| | |
|---|-----|
| თომას ერლს, ფემბროქის გრაფს | 9 |
| წინასიტყვაობა | 11 |
| შესავალი | 13 |
| ადამიანური ცოდნის პრინციპების შესახებ | 39 |
| გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნები | 157 |

„დეკარტისა (1596-1650) და ლოკის (1632-1704) ფილოსოფიაში, – ამბობს პროფესორი ფრეიზერი „Encyclopaedia Britannica“-ში. – ყურადღების დიდი ნაწილი ეთმობა მატერიის იდეას, რომელიც განიხილება, როგორც განყენებული, აღუქმელი საძირკველი რეალური გამოცდილებისა, და მიიჩნევა, რომ მან წარმოშვა ჩვენი იდეები გარე საგნების შესახებ თავისი მოქმედებით ჩვენს გონებაზე. ცოდნა, რომელიც შექმნილი იდეებით არის შეზღუდული, ვერასოდეს გავრცელდება აღუქმელ მატერიაზე, ანუ სუბსტანციაზე, ანუ მიზეზზე, რომელმაც ისინი წარმოშვა, სპეკულატური მეცნიერებისთვის კი პრობლემას წარმოადგენდა საფუძვლის განსაზღვრა თვით მის არსებობაში რწმენისთვის. ბერკლიმ მთელ ამ პრობლემას ახალი შუქი მოჰფინა იმის მინიშნებით, რომ აუცილებელია წინასწარი კითხვის დასმა და მასზე პასუხის გაცემა. სანამ დასკვნებს გამოვიტანთ ისეთი განყენებული იდეებიდან, როგორიცაა მიზეზი, სუბსტანცია, მატერია, ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა, რეალურად რას ნიშნავს ეს, რა არის ცნობიერების ფაქტობრივი შემადგენელი, რომელიც ამ სიტყვებს შეესაბამება? ნუთუ ეს იდეები, როდესაც განიხილება წარმოსადგენად რაღაცისა, რაც მისი ცოდნიდან აბსოლუტურად განცალკევებით არსებობს, წინააღმდეგობას არ შეიცავს? ასე განხილულნი, ნუთუ ისინი მართლაც აღუქმელები არიან და თვითნებურ გამონაგონს არ წარმოადგენენ, რომლის რეალიზება ცნობიერებაში, სავარაუდოდ, შეუძლებელია? ამ კითხვის დასმაში, ზუსტად ისევე, როგორც მასზე

პასუხის გაცემაში, მდგომარეობს ბერკლის, როგორც ფილოსოფოსის, აშკარა ორიგინალობა“.

ამას უწოდა პროფესორმა ფრეიზერმა („ბერკლის ცხოვრება და წერილები“, გვ. 364) „ახალი კითხვა“ კოსმოსისა და მატერიალური სამყაროს შესახებ, რომლისადმი ყურადღების მიპყრობას ბერკლი მთელი ცხოვრების განმავლობაში ფუჭად ცდილობდა. ამით, იმავე ავტორის სიტყვებით, მან დასაბამი მისცა „ინტელექტუალური რევოლუციის ახალ და მეორე ეპოქას, რომელიც დეკარტმა წამოიწყო. თანამედროვე ფილოსოფიის ეს მეორე პერიოდი აღნიშნულია ჰიუმის სკეპტიკური ფენომენალიზმით (შემდგომ წარმოდგენილი პოზიტივიზმის მიერ); საღი აზრის შოტლანდიური ფსიქოლოგიით; და გონის გერმანული კრიტიკული და დიალექტიკური ფილოსოფიით“.

ბერკლის მიმართება ლაიბნიცთან (1646-1716) და მალბრანშთან (1638-1715) ასევე დამახასიათებელია. იცოდნენ რა ლოკსა და სპინოზას შორის თანხმობის შესახებ, გასაკვირი არ არის, რომ ისეთი დაშორებული სისტემების დამცველებს, როგორც ეპმირიზმი და რაციონალიზმია, შენიშნავს დრ. ვებერი თავის შესანიშნავ ნაშრომში „ფილოსოფიის ისტორია“, „ეხილათ ინგლისელი ფილოსოფოსის მონაფე [ბერკლი], რომელიც მეგობრობის ხელს უწვდიდა ლაიბნიცსა და მალბრანშს, ინტელექტუალიზმისა და თანდაყოლილი იდეების დამცველებს ზღვის იქით. თუმცა ლოკი და მისი ოპონენტები განსხვავდებიან ზოგ არსებით პუნქტში, შეგრძნების სამყაროსთან მიმართებით ისინი ერთსა და იმავე დასკვნებამდე მიდიან. მალბრანში და ლაიბნიცი მატერიის სპირიტუალიზებას ახდენენ; ისინი მას განმარტავენ, როგორც აბურდულ იდეას და საბოლოოდ იღებენ პრინციპს, რომელიც სურვილითა და აღქმით არის აღჭურვილი, ანუ გონებას. ლოკის კრიტი-

მის უკეთილშობილებას,¹ თომას ერლს, ფემბროქის გრაფს² და ა.შ., ლეკვერთხის ორდენის უკეთილშობილეს რაინდსა და მისი უდიდებულესობის მაღალპატივცემული საიდუმლო საბჭოს წევრს

მილორდ!

შესაძლოა გაგიკვირდეთ, რომ უცნობი პიროვნება, რომელსაც არ რგებია პატივი, ყოფილიყო ცნობილი თქვენი ბრწყინვალეებისთვის, ბედავს ამ გზით მოგმართოთ. მაგრამ ის, რომ ადამიანი, რომელმაც რაღაც სასარგებლო დაწერა სამყაროში ცოდნისა და რელიგიის გავრცელების მიზნით, თქვენს ბრწყინვალეებას ირჩევს თავის მფარველად, არავის მოეჩვენება უცნაურად, ვისთვისაც სრულიად უცხო არ არის ეკლესიისა და განათლების თანამედროვე მდგომარეობა, შესაბამისად კი, ისიც, თუ რაოდენ მხარდაჭერასა და მშვენიერებას წარმოადგენს თქვენი პიროვნება ორივესათვის. მიუხედავად ამისა, ვერაფერი მიზიდებდა, თქვენთვის მომეძღვნა ჩემს უსუსურ ძალისხმევათა ნაყოფი, იმ გულწრფელობითა და ბუნებრივი კეთილშობილებით რომ არ ვყოფილიყავი ნაქეზებული, ასე რომ ასხივოსნებს თქვენი ბრწყინვალეების ხასიათს. მილორდ, შემეძლია დავამატო, რომ განსაკუთრებული წყალობა და სი-

1. ეს მიძღვნა მეორე გამოცემაში (1734) აღარ გვხვდება.

2. ჰერბერტ ტომასი, გრაფი ფემბროქი და მონთგომერი (1656-1733) – 1707 წელს ის ირლანდიის გუბერნატორად დანიშნეს. იყო ჯონ ლოკის მოწაფე, რომელმაც მიუძღვნა კიდევ მას თავისი ნაშრომი „ესსეი ადამიანის გაგებასთან დაკავშირებით“.

უხვე, რომელიც თქვენ ისურვეთ გამოგვევლინათ ჩვენი სა-
ზოგადოებისადმი, იმედს მინერგავს, რომ თქვენ უარს არ
იტყვით მისი ერთ-ერთი წევრის კვლევათა მხარდაჭერაზე.
ამ მოსაზრებებმა მიბიძგეს, წინამდებარე ტრაქტატი თქვენი
ბრწყინვალეების ფერხთა წინაშე გამეშალა, მით უმეტეს,
რომ მივისწრაფი გაცნობოთ, რომ ყველაზე გულწრფელი და
ღრმა პატივისცემით, იმ ცოდნისა და სათნოების წყალობით,
რომელიც ესოდენ აოცებს ყველას თქვენს ბრწყინვალეებაში,
მილორდ

ვრჩები თქვენს უმორჩილეს
და უერთგულეს მსახურად

ჯორჯ ბერკლი

წინასიძვერობა³

ის, რასაც აქ ვაქვეყნებ, ხანგრძლივი და დეტალური კვლევის შემდეგ ჩემთვის ცხად ჭეშმარიტებად წარმოდგა და, ვფიქრობ, ერთობ სასარგებლო იქნება განსაკუთრებით მათთვის, ვინც სკეპტიციზმითაა შეპყრობილი, ან ღმერთის არსებობისა და არამატერიალურობის მტკიცებულება სჭირდება, ისევე, როგორც სულის ბუნებრივი უკვდავებისა. მართალი ვარ თუ არა, დაე, ეს მიუკერძოებელმა მკითხველმა გადამწყვიტოს, რამდენადაც მე უკვე იმაზე მეტად აღარ ვზრუნავ წარმატებაზე იმისა, რაც დავწერე, ვიდრე ეს ჭეშმარიტებას შეესაბამება. მაგრამ ეს უკანასკნელი რომ არ დაზარალდეს, მე ვთხოვ მკითხველს, შეაყოვნოს საკუთარი მსჯავრის გამოტანა მანამ, სანამ თუნდაც ერთხელ არ გაეცნობა ამ თხზულებას თავიდან ბოლომდე და ისეთი ყურადღებითა და განსჯის ხარისხით, რასაც განსახილველი საგანი იმსახურებს. რადგან, მასში არის მონაკვეთები, რომლებიც, თავისთავად, ერთობ მოწყვლადნი არიან (ამას ველარაფერს მოვუხერხებთ) მცდარი განმარტებისადმი და შესაძლოა სრულიად აბსურდული შედეგები გამოიწვიონ, რომლებიც, მიუხედავად ამისა, ყურადღებით გაცნობის შემდეგ, აღმოჩნდება, რომ მათგან არ გამომდინარეობს. მსგავსადვე, თუნდაც სრულად ხელახლა წაკითხვის შემდეგ, თუკი ეს სწრაფად კეთდება, შესაძლოა ჩემი შეხედულებები მცდარად იქნეს გაგებული. მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ დაფიქრებული მკითხველისთვის ყველაფერი ცხადი და გასაგები იქნება. რაც შეეხება სიახლისა და ორიგინალურობის ხასიათს, რაც შესაძლოა ზოგი შეხედ-

უღებისტვის იყოს დამახასიათებელი, იმედი მაქვს, ამასთან დაკავშირებით მოზოდიშება არ დამჭირდება. მართლაც საკმაოდ სუსტად და ცუდად უნდა იცნობდეს მეცნიერებას ის, ვინც ჭეშმარიტებას, რომლის დემონსტრირებაა შესაძლებელი, მხოლოდ იმ მიზეზით უკუაგდება, რომ ის ახალია და კაცობრიობის ცრურწმენებს ეწინააღმდეგება. უადგილოდ არ ჩამითვლია ასეთი წანამძღვრის გაკეთება, რათა შეძლებისდაგვარად ამერიდებინა ნაჩქარევი კიცხვა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც ძლიერი მიდრეკილება აქვთ, მართებულად აღქმამდე დაგმონ შეხედულება.

შენსავალი

1. რადგან ფილოსოფია სხვას არაფერს წარმოადგენს, გარდა სიბრძნისა და ჭეშმარიტების შესწავლისა, შეგვიძლია სრული საფუძვლით გვექონდეს მოლოდინი იმის, რომ ადამიანები, რომლებმაც საკმაო დრო მიუძღვნეს და დიდი ტკივილი იგემეს მისგან, მეტად უნდა იღებდნენ ტკბობას გონების სიმშვიდისა და უშფოთველობის, ცოდნის სიცხადისა და საფუძვლიანობისგან, და ნაკლებად წუხდებოდნენ ეჭვებითა და სირთულეებით, ვიდრე სხვა ადამიანები. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ კაცობრიობის დიდი და გაუნათლებელი ნაწილი, რომელიც უბრალოდ სალი აზრის გზას მიუყვება და ბუნების მითითებებით ხელმძღვანელობს, უმეტესწილად კმაყოფილი და უშფოთველია. რაც ჩვეულია, მათთვის არაფერი წარმოდგება გაუგებრად ან რთულად ასახსნელად. ისინი არ გამოთქვამენ პრეტენზიას საკუთარ გრძნობებში სიცხადის დეფიციტის გამო და არანაირი საფრთხე ემუქრებათ *სკეპტიკოსებ*ად ქცევისა. მაგრამ როგორც კი გრძნობისა და ინსტიქტის სფეროს დავტოვებთ, რათა უმაღლესი პრინციპის შუქს მივდიოთ – საგანთა ბუნების შესახებ მსჯელობასა და განსჯას, ჩვენს გონებაში ათასობით ეჭვი ჩნდება იმ საგნებთან დაკავშირებით, რომლებიც მანამდე სრულიად გასაგებად გვეჩვენებოდა. გრძნობათა ცრურწმენები და ცდომილებები ყოველი მხრიდან ევლინებიან ჩვენს მზერას, ხოლო ვცდილობთ რა მათ კორექტირებას გონების მეშვეობით, ჩვენ შეუმჩნეველად ვეშვებით მოუქნელ პარადოქსებში, სირთულეებსა და შეუსაბამობებში, რომლებიც

მრავლდებიან და იზრდებიან ჩვენში, რაც უფრო წინ მივიწვევთ გონებაჭვრეტის გზაზე, სანამ, საბოლოოდ, მრავალ ჩახლართულ ლაბირინშითი ხეტიალის შემდეგ იქ არ აღმოვჩნდებით, სადაც ვიყავით ან, რაც უარესია, იმედგადაწურულ სკეპტიციზმში არ ამოვყოფთ თავს.

2. ფიქრობენ, რომ ამის მიზეზი საგნების გაურკვეველობა, ან ჩვენი გაგების ბუნებრივი სისუსტე და არასრულყოფილებაა. ნათქვამია, რომ ჩვენ მხოლოდ ერთეული უნარები გვაქვს, რომლებიც ბუნების მიერ არის შექმნილი ცხოვრების შენარჩუნებისა და კომფორტისთვის, და არა საგანთა შინაგან არსსა და აგებულებაში წვდომისთვის. გარდა ამისა, რადგან ადამიანის გონება სასრულია, როდესაც ის უსასრულობასთან დაკავშირებული საგნების შესახებ მსჯელობს, არ არის გასაკვირი, რომ ის აბსურდულობასა და წინააღმდეგობაში ვარდება, საიდანაც შეუძლებელია თავის დაღწევა, რადგან უსასრულოს ბუნებიდან გამომდინარე, სასრული მას ვერ ჩანვდება.

3. მაგრამ შესაძლოა მეტისმეტად მიკერძოებულები ვართ საკუთარი თავის მიმართ, როდესაც ნაკლს ჩვენს უნარებს მივანერთ და არა მათ არამართებულ გამოყენებას. რთულია იმის დაშვება, რომ ჭეშმარიტი პრინციპებიდან მართებული დასკვნების გამოტანა გამოიწვევს შედეგებს, რომლებიც დაცული და შეთანხმებული ვერ იქნება. ჩვენ უნდა გვწამდეს, ღმერთი იმდენად გულუხვად მოექცა ადამიანთა მოდგმას, რომ არ ჩაუნერგა მას ასეთი ცოდნისკენ – რაც მისთვის სრულიად მიუწვდომელია – ძლიერი სწრაფვა. ეს არ იყო შესაბამისობაში განგების ჩვეულ, მოწყალე მეთოდებთან, რომლებიც, როგორი მიდრეკილებებიც არ უნდა ჩაენერგათ ქმნილებებში, ისეთი საშუალებებით აღჭურვავენ მათ, რომ, მართებულად გამოყენების შემთხვევაში შეუძლებელია ეს მიდრეკილებები

ბამომხმობა „აქტი“-ს მიერ ბამომხმობი ნიშნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტიე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
20. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
22. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
23. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა

25. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
26. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები
27. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
28. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
29. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია
30. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
31. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
32. ოშო – რა არის მედიტაცია?
33. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე
34. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
35. დევიდ ლოურენსი – ფსიქონალიზი და არაცნობიერი
36. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
37. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
38. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ